# ხელშეკრულება №1-310
## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 05 დეკემბერი 2014წ.

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე3 მუხლის 1 პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის თანახმად, ერთის მხრივ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო" (შემდგომში „შემსყიდველი") მისი უფროსის მოვალეობის შემსრულებლის *გიგი ჩოჩიას* სახით და მეორეს მხრივ, **შპს „დანი 2012."** (შემდგომში „მიმწოდებელი") მისი დირექტორის **ბერუჩა ლუხუტაშვილის** სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

**1. ხელშეკრულების საგანი**

**დაფინანსების წყარო: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს არასაბიუჯეტო სახსრები**

**1.1. შესყიდვის ობიექტის დასახელება: წარმომადგენლობითი ხარჯები (რესტორნებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურებები CPV 55300000)**

„მიმწოდებელი" ვალდებულებას იღებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გაუწიოს შემსყიდველს შემდეგი სახის მომსახურება: **2014 წლის 05 დეკემბრს სტუმრების (6 პერსონა) გამასპინძლება დანართი №1-ის** (შერჩეული მენიუ) შესაბამისად.

1.2 შესყიდვის საშუალება: გამარტივებული შესყიდვა

**2. ხელშეკრულების ობიექტის საერთო ღირებულება**

2.2 ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს **485.21** (ოთხასოთხმოცდახუთი ლარი და 21 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

**3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია**

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურეობა იქნება დადგენილი სტანდარტების შესაბამისი.

**4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები**

4.1 მომსახურების გაწევის ადგილია მიმწოდებლის ფაქტიური მისამართი: **ქ.თბილისი, ცაბაძის ქ№2.**

4.2 მომსახურების გაწევა მოხდება შემსყიდველის მიერ მოთხოვნის შესაბამისად.

**5. მხარეთა უფლება-მოვალეობები**

5.1 თუ გაწეული მომსახურება არ იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით 1.1 და 3.1 მუხლებში მითითებული პარამეტრების შესაბამისი, მაშინ შემსყიდველი იტოვებს უფლებას მოსთხოვოს მიმწოდებელს 1 სამუშაო დღის განმავლობაში გააუქმოს ხელშეკრულება.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

**6. ანგარიშსწორების წესი და პირობები**

6.1. ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო ანგარიშსწორება.

6.2 ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 საბანკო დღის ვადაში.

6.3. ანგარიშსწორების საფუძველია მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმება და მიმწოდებლის მიერ ანგარიშფაქტურის წარმოდგენა.

## 7. საქონლის მიწოდების მიღება–ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტის მიღება დასტურდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებით.

7.2 შემსყიდველის მხრიდან მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირია სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი გვარამია**.

## 8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა სტიქიური მოვლენები, ომები ან საომარი მდგომარეობები, აგრეთვე სხვა გადაულახავი გარემოებები, თუ ისინი უშუალოდ ახდენენ გავლენას ხელშეკრულების შესრულებაზე. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულება წყდება ან მისი შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით.

8.2. მხარე, რომელიც აღმოჩნდება ფორს–მაჟორულ სიტუაციაში, ვალდებულია დაუყოვნებლივ, წერილობითი სახით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში მხარეს ეკისრება ჯარიმა სახელშეკრულებო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებისათვის დაკისრებული ჯარიმის თანხა გადააჭარბებს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ შესყიდვის ობიექტის ხარისხი არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. მუხლში მითითებულ პარამეტრებს, „მიმწოდებელი" ვალდებულია 1 დღის ვადაში უზრუნველყოს ნაკლის და/ან დეფექტის აღმოფხვრა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9.4. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი" განაცხადებს არამოტივირებულ უარს შესყიდვის ობიექტის შესყიდვაზე, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

## 10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

10.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

10.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.4 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 მუხლში აღნიშნული პირი.

## 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

**11.1** ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

**11.2** ასეთი მოლაპარაკების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 12. დასკვნითი დებულებები

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია **2015 წლის 20 იანვრის ჩათვლით.**

12.2 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან 1 ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო 2 ეგზემლარი შემსყიდველს.

12.3. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13. მხარეთა რეკვიზიტები და იურიდიული მისამართები

**" შემსყიდველი"**
**ს.ს.ი.პ. „გარემოს ეროვნული სააგენტო"**
საიდენტიფიკაციო კოდი: 204559691
მისამართი: ქ. თბილისი
დ. აღმაშენებლის გამზ. №150
რეკვიზიტები: სს „პროკრედიტ ბანკი"
ბანკის კოდი: MIBGGE22
ანგარიშის № GE32PC0133400100000051
ტელ ; 243 95 45

**„მიმწოდებელი"**
**შპს „დანი 2012"**
საიდენტიფიკაციო კოდი: 404419704
მისამართი: ქ. თბილისი ცაბაძის ქ№2
რეკვიზიტები: ს.ს "ბაზის ბანკი"
ბანკის კოდი: CBASGE22
ანგარიშის №GE92BS0000000060736318
ტელ: 577 14 42 48

გიგი ხოჩია
**სააგენტოს უფროსის**
**მოვალეობის შემსრულებელი**

ბერუჩა ლუხ[illegible]
**დირექტორი**

2014 წლის 05 დეკემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №1- -ის დანართი№1

| № | საქონლის დასახელება | რაოდენობა | ერთეულის ფასი | სულ ფასი |
|---|---|---|---|---|
| 1 | კიტრი პომიდორის სალათი | 1 | 5 | 5 |
| 2 | კიტრი პომიდორის სალათი ნიგვზით | 1 | 6 | 6 |
| 3 | ტყემალი | 1 | 2 | 2 |
| 4 | ტომატის საწებელი | 1 | 2 | 2 |
| 5 | პური შოთის | 2 | 2 | 4 |
| 6 | მჭადი | 4 | 1.5 | 6 |
| 7 | ხაჭაპური | 1 | 17 | 17 |
| 8 | მწვადის ასორტი | 1 | 55 | 55 |
| 9 | ქაბაბის ასორტი გარნირით | 1 | 37 | 37 |
| 10 | ჩურჩხელა „კახური" | 1 | 7 | 7 |
| 11 | ხილის ასორტი | 1 | 35 | 35 |
| 12 | მწვანილის ასორტი | 1 | 5 | 5 |
| 13 | ფხალის ასორტი | 1 | 10 | 10 |
| 14 | მჟავის ასორტი (პატარა) | 1 | 5 | 5 |
| 15 | ყველის ასორტი „ქართული" | 1 | 16 | 16 |
| 16 | გებჟალია | 1 | 11 | 11 |
| 17 | მწვანე ლობიო ნიგვზით | 1 | 6 | 6 |
| 18 | საცივი ინდაურის | 1 | 40 | 40 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19 | ქამა სოკო ჩაშუშული | 1 | 10 | 10 |
| 20 | კალმახი ბროწეულის წვენში | 2 | 15 | 30 |
| 21 | ტოლმა ვაზის ფოთოლში | 1 | 10 | 10 |
| 22 | საფერავი | 1 | 22 | 22 |
| 23 | ფინლანდია 500მლ | 2 | 38 | 38 |
| 24 | ბორჯომი 500მლ | 2 | 2.2 | 4.4 |
| 25 | წყაროს წყალი სნო 750მლ | 3 | 1.8 | 5.4 |
| 26 | ლიმონათი ,,ნატახტარი" | 4 | 2.2 | 8.8 |
| 27 | სიგარეტი პარლამენტი | 1 | 8 | 8 |
| 28 | ყავა თურქული | 2 | 2.5 | 5 |
| 29 | ჩაი სენჩა მწვანე | 1 | 2.5 | 2.5 |
| 30 | ყავა ესპრესო | 1 | 4 | 4 |
| 31 | ყავა ამერიკანო | 3 | 4 | 12 |
| 32 | წინანდალი ჩამოსასხმელი 1ლ | 2 | 6 | 12 |
| სულ ჯამი: 441.10+10%44.11=485.21 ლარი დღგ-ს ჩათვლით | | | | |

შპს „დანი 2012"
დირექტორი

ბერუჩა ლუხუტაშვილი

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

გივი ჩოჩია